19/11/2026

MES 4 26 0001661502

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**
**სხდომის თარიღი:** 05.11.2026
**სხდომის დაწყების დრო:** 14:00
**სხდომის დასრულების დრო:** 15:00
**საბჭოს თავმჯდომარე:** სერგო ჭელიძე, (I, II III, IV, V, VI, VII და VIII საკითხები)
**სხდომის თავმჯდომარე:** ვასილ გონაშვილი (IX, X, XI, XII, XIII და XIV საკითხი)
**საბჭოს მდივანი:** ზურაბ ქავთარია (I, II III, IV, V, VI, VII და VIII საკითხები)
**სხდომის მდივანი:** ბაქარი ბერეკაშვილი (IX, X, XI, XII, XIII და XIV საკითხი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის, გამოყენებით 2026 წლის 05 ნოემბერს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:**

1. **სერგო ჭელიძე** - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
2. **თამარ გამსახურდია** - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი;
3. **ბაქარ ბერეკაშვილი** - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დოქტორანტი;
4. **მარიამ ბოჭორიშვილი -** ა(ა)იპ- ტად ვიკის დირექტორი, სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და დიზაინის სკოლის ხელმძღვანელი;

5. **ვასილ გონაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი
6. **ციური დურული -** სსიპ- გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
7. **ლევან ვეფხვაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს ბიზნეს ასოციაცია, აღმასრულებელი დირექტორი;
8. **ნინო მინდიაშვილი -** შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
9. **ნარგიზ ფალავანდიშვილი** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
10. **ზურაბ ქავთარია** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე;
11. **ნათია ჯოჯუა** - შპს ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
12. **რიმა ბერიაშვილი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, ამავე უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
13. **ნინო ჩინჩალაძე** - ა(ა)იპ - ფონდი საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:**

1. **ქეთევან ინანაშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. **ქეთევან პავლიაშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**შპს საქართველოს უნივერსიტეტი:**

1. კახა თავზარაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;
2. ქეთევან გივიშვილი - ანალიტიკისა და ხარისხის განვითარების განყოფილების უფროსი;
3. თეონა შუშტაკაშვილი - აკრედიტაციის განყოფილების უფროსი.

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):**

- ია მოსაშვილი I და II საკითხები
- ნინო პატარაია I და II საკითხები

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:**

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინჟინერიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის„ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:**
**• კი**

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს გააცნო შუამდგომლობა, რომელიც ეხებოდა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიმართ წარდგენილ 6, შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიმართ წარდგენილ 1, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიმართ წარდგენილ 1 და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიმართ წარდგენილ 4 საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხს.

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინჟინერიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის„ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№1340465, 29/09/2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი განხილვა;
4. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№1239186, 16.09.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№956139, 21.07.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№980409; 27.07.2026, №1033005; 11.08.2026 №1066854, 19.08.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№1083313, 24.08.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№1035281, 11.08.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი განხილვა;

9. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№663188, 03.06.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი განხილვა;
10. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№1082921, 24.08.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი განხილვა;
11. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№802018; 25.06.2026 და №803116; 26.06.2026 ) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი განხილვა;
12. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№812705; 29.06.2026 ) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი განხილვა;
13. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№876152; 06.07.2026 ) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი განხილვა;
14. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№1002224; 31.07.2026 ) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი განხილვა.

**პირველი საკითხი:** შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინჟინერიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**• არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**• არა**

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.**
ექსპერტმა ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს და აერთიანებს როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე დარგობრივ კომპონენტებს. პროგრამა შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებთან.
მისივე განმარტებით, პროგრამის შეფასება განხორციელდა დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე. შეფასების პროცესში დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც დაზუსტდა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან დაკავშირებული საკითხები და დადასტურდა მათი კვალიფიკაციის შესაბამისობა. ამასთანავე, შეფასების ფარგლებში გადამოწმდა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება დადებითია. შეფასების შედეგად გაიცა მხოლოდ ორი რჩევა:
1. სასურველია, ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსებში პერიოდულად განახლდეს თანამედროვე საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციებისა და უახლესი ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება.
2. სასურველია, საინჟინრო განათლების თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, მომავალშიც გაფართოვდეს სწავლების თანამედროვე, აქტიური მეთოდების გამოყენების პრაქტიკა.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.**
დაწესებულებას კომენტარი არ გაუკეთებია.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.**
საბჭოს წევრი ნინო ჩინჩალაძე დაინტერესდა, ირიცხებოდნენ თუ არა აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხოელი სტუდენტები, პროგრამის უცხოენოვანი სწავლების გათვალისწინებით.
აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებიან უცხოენოვანი სტუდენტები.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:**
დაწყების დრო: 14:07
დასრულების დრო:14:11

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინჟინერიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე: 12**
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინჟინერიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ „ინჟინერიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს".

**მეორე საკითხი:** შპს საქართველოს უნივერსიტეტის„ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**• არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**• არა**

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.**
ექსპერტმა ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტებმა განიხილეს წარმოდგენილი დოკუმენტები და პროგრამის შესაბამისობა კვალიფიკაციების ჩარჩოსთან. აღნიშნული პროგრამა 240-კრედიტიანია. შესწავლილ იქნა ყველა დოკუმენტი, მათ შორის სილაბუსები და კურიკულუმის რუკები. გაიცა რეკომენდაციები, თუმცა არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემდეგ რეკომენდაციები გაუქმდა და დარჩა მხოლოდ რჩევები. რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციას, რომელიც მათ CV-ებში მკაფიოდ არ იკვეთებოდა, თუმცა შემდგომ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე დადასტურდა.
პროგრამის სახელწოდებაა „ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერია“. პროგრამაში ძირითადად წარმოდგენილია ელექტრონული ინჟინერიის მიმართულება და მისანიჭებელი კვალიფიკაციაც შესაბამისია. თუმცა დაწესებულებამ უნდა აკონტროლოს, რომ კომპიუტერული ინჟინერიის საკითხები არ დაიკარგოს, რადგან ისიც აღნიშნულია კვალიფიკაციაში.
რჩევების ნაწილში აღინიშნა, რომ სასურველია, უნივერსიტეტმა დამატებით დაასაბუთოს პროგრამის სახელწოდების - „ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერია“ - შენარჩუნების მიზანშეწონილობა იმ პირობებში, როდესაც მისანიჭებელი კვალიფიკაცია განსაზღვრულია მხოლოდ ელექტრონული ინჟინერიის მიმართულებით, რათა პროგრამა ერთმნიშვნელოვნად აღქმადი იყოს. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა მომავალში პროგრამის სახელწოდება მის შინაარსსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობაში მოიყვანოს. სასურველია, პროგრამის სახელწოდება ან მისი დასაბუთება უფრო მკაფიოდ ასახავდეს პროგრამის შინაარსს.
მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს სტუდენტთა ჩართულობა მიმდინარე კვლევით პროექტებში, სტუდენტურ კონფერენციებსა და სხვა კვლევით აქტივობებში. მიზანშეწონილია, პროგრამაში გაფართოვდეს სტუდენტზე მორგებული სწავლების თანამედროვე ფორმების გამოყენება, მათ შორის ინდუსტრიულ პროექტებზე დაფუძნებული სწავლება, ინტერდისციპლინური ციფრული დავალებები და სიმულაციური გარემოს ინტეგრირება. სასურველია სილაბუსის ტექნიკური გადამოწმება და შესაბამისობაში მოყვანა.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.**
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ორი წლის წინ აღნიშნული პროგრამა შემუშავდა როგორც გაერთიანებული პროგრამა. თუმცა, ვინაიდან ამ ორი პროგრამის გაერთიანება შეუძლებელი იყო, დაწესებულებამ ისინი გაყო და ამჟამად ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამები ცალ-ცალკე აქვს წარმოდგენილი. ამ ეტაპზე აღნიშნულ პროგრამაზე ირიცხება რამდენიმე უცხოელი სტუდენტი. მისანიჭებელ კვალიფიკაციად განისაზღვრა ელექტრონული ინჟინერია, თუმცა პროგრამა კომპიუტერული ინჟინერიის საგნებსაც მოიცავს. აღნიშნული პროგრამა განიხილება მილევად რეჟიმში.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.**
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ დაუსვამთ.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:**
დაწყების დრო: 14:23
დასრულების დრო:14:30

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე: 12**
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ „ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს".

**მესამე საკითხი:** შპს საქართველოს უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№1340465, 29.10.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**• არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**• არა**

**მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა**
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს გააცნო შემოსული საჩივარი. ცენტრში 2026 წლის 29 სექტემბრის №1340465 წერილით შემოვიდა საერთაშორისო სტუდენტის (K.K.) საჩივარი შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ სწავლის საფასურის დაბრუნებაზე უარის თქმის თაობაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდებოდა უნივერსიტეტისთვის თანხის დაბრუნების მოთხოვნით მიმართვისა და დაწესებულების რეაგირების ფაქტები, რის გამოც ცენტრმა განმცხადებელს 2026 წლის 6 ოქტომბრის №1396180 წერილით სთხოვა შესაბამისი დოკუმენტების 5 სამუშაო დღის ვადაში წარმოდგენა და აცნობა მათი წარმოუდგენლობის შემთხვევაში ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე შუამდგომლობის წარდგენის შესახებ. განმცხადებელს დამატებითი ინფორმაცია არ წარმოუდგენია. ვინაიდან ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში არ გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევის გარემოება, ცენტი საბჭოს წინაშე აყენებს შუამდგომლობა შპს საქართველოს უნივერსიტეტთან დაკავშირებით ავტორიზაციის მონიტორინგის შესაძლო დაწყების თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.**
დაწესებულებას კომენტარი არ გაუკეთებია.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.**
საბჭოს წევრებს დამატებითი შეკითხვები არ ჰქონიათ.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 14:35**
**დასრულების დრო: 14:37**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს საქართველოს უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№1340465, 29.10.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

**მომხრე: 12**
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით (№1340465, 29.10.2026) დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**მეოთხე საკითხი:** შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№1239186, 16.09.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**• არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**• კი**

**თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა, ციური დურულმა.**
**თვითაცილების საფუძველი შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.**

**მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა**
ცენტრში 2026 წლის 16 სექტემბრის №1239186 განცხადებით შემოვიდა პაკისტანის მოქალაქის, საერთაშორისო სტუდენტის (Muhammad Touheed Ahmad Shad), საჩივარი შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების თაობაზე. განმცხადებლის ინფორმაციით, სავიზო შეზღუდვებისა და მის საცხოვრებელ რეგიონში არსებული არასტაბილური ვითარების გამო მან ვერ შეძლო სწავლის დაწყება, ხოლო თანხის დაბრუნების მოთხოვნით უნივერსიტეტისთვის არაერთხელ მიმართვას შედეგი არ მოჰყოლია. საკითხის შესწავლის მიზნით, ცენტრმა 2026 წლის 23 სექტემბრის №1293993 წერილით დაწესებულებისგან გამოითხოვა შესაბამისი დოკუმენტაცია. უნივერსიტეტის მიერ 2026 წლის 1 ოქტომბერს წარმოდგენილი კორესპონდენციითა და თანდართული დოკუმენტაციით (ცენტრში რეგისტრაციის №1362936) დადასტურდა, რომ განმცხადებელს გადახდილი სწავლის საფასური 2026 წლის 16 სექტემბერს დაუბრუნდა. ვინაიდან საჩივარში დაყენებული მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ცენტრი საბჭოს წინაშე აყენებს შუამდგომლობა აღნიშნული განცხადების საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.**
საბჭოს წევრებს დამატებითი შეკითხვები არ ჰქონიათ.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 14:40**
**დასრულების დრო: 14:43**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№1239186, 16.09.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი განხილვა.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე:** 11
**წინააღმდეგი:** 0

**გადაწყვეტილება:** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით (№1239186, 16.09.2026) დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მიმართებით განსახილველი ოთხი საჩივრის ერთობლივად მოსმენისა და მათზე გადაწყვეტილების ერთობლივად მიღების თაობაზე.**
**აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ საბჭოს წევრები.**

**მეხუთე საკითხი:** სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№956139, 21.07.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი განხილვა.

**მეექვსე საკითხი:** სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№980409, 27.07.2026; №1033005, 11.08.2026; № 1066854, 19.08.2026 ) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი განხილვა.

**მეშვიდე საკითხი:** სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№1083313, 24.08.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი განხილვა.

**მერვე საკითხი:** სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№1035281, 11.08.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**• არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**• კი**

**თვითაცილება განაცხადა მარიამ ბოჭორიშვილმა.**
**თვითაცილების საფუძველი, შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.**

**მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 საკითხების ზეპირი მოსმენა.**

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს გააცნო შემოსული საჩივარი. ცენტრში 2026 წლის 21 ივლისის №956139 განცხადებით შემოვიდა პაკისტანის მოქალაქის, საერთაშორისო სტუდენტის (**Junaid Muhammad**), საჩივარი სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების თაობაზე. განმცხადებლის ინფორმაციით, სავიზო შეზღუდვებისა და მის საცხოვრებელ რეგიონში არსებული არასტაბილური ვითარების გამო მან ვერ შეძლო სწავლის დაწყება, ხოლო თანხის დაბრუნების მოთხოვნით მიმართვებს შედეგი არ მოჰყოლია. ცენტრის მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ განმცხადებელი ჩაირიცხა „ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე, გადაიხადა შესაბამისი თანხა და შემდგომ შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი. უნივერსიტეტის განმარტებით, ვინაიდან მასთან საფინანსო ხელშეკრულება არ გაფორმებულა, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში თანხა სრულად დაუბრუნდება შესაბამისი აქტის გამოცემიდან 2–3 კვირის ვადაში, რისთვისაც აუცილებელია უნივერსიტეტისთვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ განცხადებით მიმართვა. ცენტრმა განმცხადებელს აცნობა აღნიშნული პროცედურის შესახებ და სთხოვა 2026 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით მიღებული გადაწყვეტილებისა და განხორციელებული ქმედებების თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენა, თუმცა მისგან პასუხი არ მიუღია. საჩივრის შინაარსისა და უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით, ცენტრი საბჭოს წინაშე აყენებს შუამდგომლობას აღნიშნული განცხადების საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს გააცნო შემოსული საჩივარი. ცენტრში 2026 წლის 27 ივლისის, 11 და 19 აგვისტოს №980409, №1033005 და №1066854 წერილებით შემოვიდა საერთაშორისო სტუდენტის (Muhammad Sulaman Shahid) საჩივარი სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების თაობაზე. საკითხის შესწავლის მიზნით გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ განმცხადებელი ჩაირიცხა „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვან სამწლიან საბაკალავრო პროგრამაზე, გადაიხადა შესაბამისი თანხა და შემდგომ შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი. უნივერსიტეტის განმარტებით, ვინაიდან განმცხადებელთან საფინანსო ხელშეკრულება არ გაფორმებულა, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში გადახდილი თანხა სრულად ექვემდებარება დაბრუნებას შესაბამისი პროცედურების დაცვით. ცენტრმა 2026 წლის 15 სექტემბრის №1226227 წერილით განმცხადებელს გააცნო დაწესებულების პოზიცია და განუსაზღვრა 5 სამუშაო დღე დამატებითი ინფორმაციის წარმოსადგენად, ასევე აცნობა ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე შუამდგომლობის წარდგენის შესახებ. განმცხადებელს დამატებითი მოსაზრებები არ წარმოუდგენია. ვინაიდან წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად არ გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევის ფაქტი, ცენტრი საბჭოს

წინაშე აყენებს შუამდგომლობას აღნიშნული საჩივრის საფუძველზე ავტორიზაციის მონიტორინგის შესაძლო დაწყების თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს გააცნო შემოსული საჩივარი. ცენტრში 2026 წლის 24 აგვისტოს №1083313 წერილით შემოვიდა განმცხადებლის (Nazeer Muhammad Arslan) საჩივარი სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების თაობაზე. საკითხის შესწავლის მიზნით, ცენტრმა დაწესებულებისგან გამოითხოვა შესაბამისი ინფორმაცია. უნივერსიტეტის 2026 წლის 11 სექტემბრის №1203959 წერილის თანახმად, განმცხადებელი „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე არ ჩარიცხულა, თუმცა დასტურდება მის მიერ უნივერსიტეტის ანგარიშზე სწავლის საფასურის გადარიცხვა და მიმდინარეობს თანხის დაბრუნების შესაბამისი პროცედურა. ცენტრმა 2026 წლის 22 სექტემბრის №1291042 წერილით განმცხადებელს გააცნო დაწესებულების პოზიცია, განუსაზღვრა 5 სამუშაო დღე დამატებითი ინფორმაციის წარმოსადგენად და აცნობა ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე შუამდგომლობის წარდგენის შესახებ. პასუხად განმცხადებელმა აღნიშნა, რომ თანხა ჯერ არ დაბრუნებია და კვლავ მოითხოვა მისი დაბრუნება, თუმცა დამატებითი მოსაზრებები არ წარმოუდგენია. წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევის ფაქტი არ გამოიკვეთა, რის საფუძველზეც ცენტრი საბჭოს წინაშე აყენებს შუამდგომლობას აღნიშნული საჩივრის საფუძველზე ავტორიზაციის მონიტორინგის შესაძლო დაწყების თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს გააცნო შემოსული საჩივარი. ცენტრში 2026 წლის 11 აგვისტოს №1035281 წერილით შემოვიდა საერთაშორისო სტუდენტის (Fakhar Gondal Haider) საჩივარი სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში წინსწრებით გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების თაობაზე. განმცხადებლის ინფორმაციით, ვიზასთან დაკავშირებული პრობლემის გამო მან ვერ შეძლო საქართველოში ჩამოსვლა. ცენტრის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის პასუხად, უნივერსიტეტმა 2026 წლის 19 აგვისტოს №1066807 წერილით განმარტა, რომ განცხადებას განიხილავს შესაბამისი ფაკულტეტი და განმცხადებელს მიეწოდა ინფორმაცია თანხის დაბრუნებისთვის განსახორციელებელი მოქმედებების შესახებ. დაწესებულების განმარტებით, ვინაიდან სტუდენტთან საფინანსო ხელშეკრულება არ გაფორმებულა, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში გადახდილი თანხა სრულად ექვემდებარება დაბრუნებას შესაბამისი პროცედურების დაცვით. ცენტრმა 2026 წლის 2 სექტემბრის №1130915 წერილით განმცხადებელს აცნობა აღნიშნულის შესახებ, თუმცა 5 სამუშაო დღის ვადაში მას დამატებითი არგუმენტაცია არ წარმოუდგენია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ცენტრი საბჭოს წინაშე აყენებს შუამდგომლობას საჩივრის საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.**
საბჭოს წევრებს დამატებითი შეკითხვები არ ჰქონდათ.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 14:50**
**დასრულების დრო: 14:55**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№956139, 21.07.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე:** 11
**წინააღმდეგი:** 0

**გადაწყვეტილება:**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით (№956139, 21.07.2026) დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№980409, 27.07.2026; №1033005, 11.08.2026; № 1066854, 19.08.2026 ) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე:** 11
**წინააღმდეგი:** 0

**გადაწყვეტილება:**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით (№980409, 27.07.2026; №1033005, 11.08.2026; № 1066854, 19.08.2026 ) დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№1083313, 24.08.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე:** 11
**წინააღმდეგი:** 0

**გადაწყვეტილება:**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების" 88-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით (№1083313, 24.08.2026) დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№1035281, 11.08.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე:** 11
**წინააღმდეგი:** 0

**გადაწყვეტილება:**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით (№1035281, 11.08.2026) დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 76 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა თვითაცილება შემდეგ განსახილველ ექვს საკითხთან მიმართებით, შესაბამისად, ამავე დებულების 74 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომას აღნიშნული საკითხების განხილვის დროს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ვასილ გონაშვილმა.**

**სხდომის თავმჯდომარემ, ვასილ გონაშვილმა დააყენა შუამდგომლობა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით განსახილველი ექვსი საჩივრის ერთობლივად მოსმენისა და მათზე გადაწყვეტილების ერთობლივად მიღების თაობაზე.**

აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ საბჭოს წევრები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
- **კი**

**თვითაცილება განაცხადეს სერგო ჭელიძემ, ნინო მინდიაშვილმა და ზურაბ ქავთარიამ. თვითაცილების მიზეზს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.**

**სხდომის მდივნად მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13 და მე-14 საკითხებზე განისაზღვრა - ბაქარ ბერეკაშვილი.**

**სხდომას მე-9 საკითხიდან შემოუერთდა საბჭოს წევრი ლევან ვეფხვაძე.**

**მე-9 საკითხი:** შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№663188, 03.06.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი განხილვა.

**მე-10 საკითხი:** შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№1082921, 24.08.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი განხილვა.

**მე-11 საკითხი:** შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№802018; 25.06.2026 და №803116; 26.06.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი განხილვა.

**მე-12 საკითხი:** შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№812705; 29.06.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი განხილვა.

**მე-13 საკითხი:** შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№876152; 06.07.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი განხილვა.

**მე-14 საკითხი:** შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№1002224; 31.07.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი განხილვა.

**მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13 და მე-14 საკითხების ზეპირი მოსმენა.**

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს გააცნო შემოსული საჩივარი. ცენტრში 2026 წლის 03 ივნისს №663188 წერილით შემოვიდა საერთაშორისო სტუდენტის (Bhuiyan md sharif) საჩივარი შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში წინასწარ გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების თაობაზე. განმცხადებლის ინფორმაციით, ჩარიცხვის წინასწარი თანხმობის წერილის მიღებისა და პირველი სემესტრის საფასურის გადახდის შემდეგ, უნივერსიტეტისგან არ მიუღია ჩარიცხვისა და სავიზო განაცხადისთვის საჭირო დოკუმენტები, რის გამოც ვერ შეძლო საქართველოში ჩამოსვლა და სწავლის გაგრძელება. ცენტრის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის პასუხად, უნივერსიტეტმა №17680 კორესპონდენციით (ცენტრში რეგისტრაციის №898086, 09.07.2026) დაადასტურა თანხის დაბრუნება და წარმოადგინა შესაბამისი ქვითარი. ცენტრმა 2026 წლის 07 სექტემბრის №1164870 წერილით განმცხადებელს მიაწოდა აღნიშნული ინფორმაცია და ქვითარი, აცნობა წარმოების შეწყვეტის საკითხის საბჭოსთვის წარდგენის შესახებ და დამატებითი დოკუმენტაციის მისაღებად უნივერსიტეტთან დაკავშირება ურჩია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელების სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო, ცენტრი საბჭოს წინაშე აყენებს შუამდგომლობას საჩივრის საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს გააცნო შემოსული საჩივარი. ცენტრში 2026 წლის 24 აგვისტოს №1082921 წერილით შემოვიდა განმცხადებლის (Ali Khan) საჩივარი შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების თაობაზე. ცენტრის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის პასუხად, უნივერსიტეტმა 2026 წლის 29 სექტემბრის №28483 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №1349414, 30.09.2026) განმარტა, რომ აპლიკანტმა გადაიხადა სწავლის საფასურის ნაწილი — 1700 აშშ დოლარი, თუმცა მომსახურების საფასურის დაგვიანებით გადახდის გამო ჩარიცხვის პროცედურები ვერ დაიწყო. დაწესებულების ინფორმაციით, ვინაიდან აპლიკანტი არ ჩარიცხულა, სწავლის საფასური დაუბრუნდება მოთხოვნილი საბანკო რეკვიზიტების წარმოდგენის შემდეგ. ცენტრმა 2026 წლის 6 ოქტომბრის №1396189 წერილით განმცხადებელს აცნობა აღნიშნულისა და დამატებითი ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში წარმოების შეწყვეტის თაობაზე შუამდგომლობის საბჭოსთვის წარდგენის შესახებ, თუმცა 5 სამუშაო დღის ვადაში მას დამატებითი მოსაზრებები არ წარმოუდგენია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან საქმის მასალების შესწავლის შედეგად ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა არ გამოიკვეთა, ცენტრი საბჭოს წინაშე აყენებს შუამდგომლობას უნივერსიტეტში ავტორიზაციის მონიტორინგის შესაძლო დაწყების თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს გააცნო შემოსული საჩივარი. ცენტრში 2026 წლის 25 და 26 ივნისს №802018 და №803116 განცხადებებით შემოვიდა განმცხადებლის (Muhammad Umair Ashfaq) საჩივარი შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების თაობაზე. ცენტრის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის პასუხად, უნივერსიტეტმა 2026 წლის 24 ივლისის №19201 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №973838, 24.07.2026) განმარტა, რომ განმცხადებელი თანხის დაბრუნების საფუძვლად სხვადასხვა დროს უთითებდა ფინანსურ სირთულეებს, სავიზო დოკუმენტების მიუღებლობასა და ჯანმრთელობის მდგომარეობას, თუმცა თანხის დაბრუნებისთვის უნივერსიტეტის რეგულაციით მოთხოვნილი დოკუმენტაცია სრულად არ წარმოუდგენია. დაწესებულების ინფორმაციით, განმცხადებელს სტუდენტის სტატუსი შეჩერებული აქვს და გადახდილი საფასურის გამოყენება სწავლის გაგრძელებისას შეუძლია, ხოლო თანხა დაუბრუნდება შესაბამისი წესით გათვალისწინებული საფუძვლების დამადასტურებელი სრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში. ცენტრმა აღნიშნული ინფორმაცია განმცხადებელს 2026 წლის 6 აგვისტოს №1019659 და 17 აგვისტოს №1053318 წერილებით მიაწოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან საქმის მასალების შესწავლის შედეგად ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა არ გამოიკვეთა, ცენტრი საბჭოს წინაშე აყენებს შუამდგომლობას საჩივრის საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს გააცნო შემოსული საჩივარი. ცენტრში 2026 წლის 29 ივნისს №812705 განცხადებით შემოვიდა განმცხადებლის (Ahmed Elmustafa Babiker Abdelrahman Osman) საჩივარი შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების თაობაზე. მოთხოვნის დაზუსტებისა და ცენტრის საქმიანობის შესახებ განმცხადებლის ინფორმირების შემდეგ, ცენტრმა უნივერსიტეტისგან გამოითხოვა შესაბამისი დოკუმენტაცია. უნივერსიტეტმა 2026 წლის 24 ივლისის №19201 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №973838, 24.07.2026) განმარტა, რომ განმცხადებელს თანხის დაბრუნების მოთხოვნით უნივერსიტეტისთვის არ მიუმართავს, რაც სავალდებულო პროცედურაა. დაწესებულების ინფორმაციით, მას სტუდენტის სტატუსი შეჩერებული აქვს და გადახდილი საფასურის გამოყენება საქართველოში ჩამოსვლისა და სწავლის დაწყებისას შეუძლია. ცენტრმა 2026 წლის 31 ივლისის №999439 წერილით განმცხადებელს აცნობა აღნიშნულის შესახებ, თუმცა მას დამატებითი მოსაზრებები არ წარმოუდგენია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა

არ დადგინდა, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, წარმოების შეწყვეტის შუამდგომლობით მიმართოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს. ამასთან, ადმინისტრაციულმა წარმოებამ გადააჭარბა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ერთთვიან ვადას.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს გააცნო შემოსული საჩივარი. ცენტრში 2026 წლის 06 ივლისს №876152 განცხადებით შემოვიდა განმცხადებლის (Ahmed Elmustafa Babiker Abdelrahman Osman) საჩივარი შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების თაობაზე. ცენტრის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის პასუხად, უნივერსიტეტმა 2026 წლის 24 ივლისის №19201 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №973838, 24.07.2026) განმარტა, რომ განმცხადებელს თანხის დაბრუნებისთვის საჭირო სავალდებულო დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია. დაწესებულების ინფორმაციით, მას სტუდენტის სტატუსი შეჩერებული აქვს და გადახდილი საფასურის გამოყენება საქართველოში ჩამოსვლისა და სწავლის დაწყებისას შეუძლია. ცენტრმა 2026 წლის 30 ივლისის №995086 წერილით განმცხადებელს აცნობა აღნიშნულის შესახებ, თუმცა მას დამატებითი მოსაზრებები არ წარმოუდგენია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა არ დადგინდა, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, წარმოების შეწყვეტის შუამდგომლობით მიმართოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს გააცნო შემოსული საჩივარი. ცენტრში 2026 წლის 31 ივლისს №1002224 განცხადებით შემოვიდა განმცხადებლის (Syed Muhammad Irtiza Rizvi) საჩივარი შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების თაობაზე. ცენტრის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის პასუხად, უნივერსიტეტმა 2026 წლის 24 აგვისტოს №1087822 წერილით განმარტა, რომ განმცხადებელი უნივერსიტეტის სტუდენტად არ ირიცხება და თანხა დაუბრუნდება მოთხოვნილი საბანკო რეკვიზიტების წარმოდგენის შემდეგ. ცენტრმა 2026 წლის 28 სექტემბრის №1113377 წერილით განმცხადებელს აცნობა უნივერსიტეტისთვის საბანკო რეკვიზიტების წარდგენის აუცილებლობის შესახებ, თანხის დაბრუნების პროცედურის დასრულების მიზნით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა არ დადგინდა, ცენტრს მიზანშეწონილად მიაჩნია, წარმოების შეწყვეტის შუამდგომლობით მიმართოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.**
საბჭოს წევრებს დამატებითი შეკითხვები არ ჰქონიათ.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 15:07**
**დასრულების დრო: 15:18**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№663188, 03.06.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე:** 10

**წინააღმდეგი:** 0

**გადაწყვეტილება:**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით (№663188, 03.06.2026) დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№1082921, 24.08.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე:** 10
**წინააღმდეგი:** 0

**გადაწყვეტილება:**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით (№1082921, 24.08.2026) დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№802018; 25.06.2026 და №803116; 26.06.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე:** 10
**წინააღმდეგი:** 0

**გადაწყვეტილება:**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით (№802018; 25.06.2026 და №803116; 26.06.2026) დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№812705; 29.06.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე:** 10
**წინააღმდეგი:** 0

**გადაწყვეტილება:**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით (№812705; 29.06.2026) დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№876152; 06.07.2026) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე:** 10
**წინააღმდეგი:** 0

**გადაწყვეტილება:**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით (№876152; 06.07.2026) დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან (№1002224; 31.07.2026 ) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე:** 10
**წინააღმდეგი:** 0

**გადაწყვეტილება:**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს კავკასიის საერთაშორისო

უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით (№1002224; 31.07.2026) დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 15:00 საათზე.**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქავთარია ზურაბი



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ბერეკაშვილი ბაქარი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
გონაშვილი ვასილ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჭელიძე სერგო



